

შემთხვევის ანალიზი – ბიოლოგიის სწავლებისთვის

ავტორი [თინათინ ზარდიაშვილი](#)

შემთხვევის ანალიზი მიეკუთვნება სწავლების ინტერაქციულ მეთოდს. ის მოსწავლეს გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებს. მეთოდის მიზანია შემსწავლელს განუვითაროს შემოქმედებითი, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, ასევე – დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი. შემთხვევის ანალიზი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა. ამ დროს მოსწავლეები იძენენ ცოდნას, რომელიც ცხოვრებაში გამოადგებათ, მსჯელობენ პრაქტიკულ სიტუაციებზე, ჯგუფური დისკუსიით მიდიან გადაწყვეტილებამდე, ასაბუთებენ თავიანთი გადაწყვეტილების მართებულებას. შემთხვევების ანალიზის სხვადასხვა ვერსია არსებობს, თუმცა მათი მთავარი მახასიათებელია ის, რომ შემთხვევა აღებულია რეალური ცხოვრებიდან, მოსწავლე თეორიულ ცოდნას აკავშირებს რეალურ ცხოვრებასთან. ის პროცესის ნაწილია, თავად უნდა გადაჭრას პრობლემა. არკვევს, რა თეორიული ცოდნა სჭირდება პრობლემის გადასაჭრელად. იძენს ახალ ცოდნას და იწყებს პრობლემის გადაჭრისთვის გზის ძიებას. გზის არჩევის შემდეგ მოსწავლეები აჯამებენ საკითხს და აღარებენ მას რეალურ პასუხს.

შემთხვევის ანალიზი ექვს საფეხურს მოიცავს:

საფეხურების (ფაზების) თანმიმდევრობა	აქტივობა	მიზანი
შემთხვევასთან შეხვედრა	შემთხვევის გაცნობა	მოსწავლეებმა გაიაზრონ მაგალითის შინაარსი და ზოგიერთ შემთხვევაში გაეცნონ მიღებულ გადაწყვეტილებას.
საჭირო ინფორმაციაზე მუშაობა	სიტუაციის ანალიზი და ინფორმაციის საკმარისობის დადგენა, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება.	მოსწავლეები აანალიზებენ ინფორმაციას, აფასებენ და მოიპოვებენ დამატებით ინფორმაციას პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.
დისკუსია ჯგუფში	პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების დამუშავება, თავმოყრა და ყველა გზის ძლიერება და სუსტ მხარეებზე მსჯელობა.	მოსწავლეს უვითარდება დივერგენტული აზროვნება.
კონსენსუსი ჯგუფში	პრობლემის გადაჭრის ჩამოთვლილი გზებიდან საუკეთესოს, ყველაზე რელევანტურის არჩევა.	მოსწავლეებს უვითარდებათ დისკუსიის, მსჯელობის უნარი.

დებატები აუდიტორიის მონაწილეობით	ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილების მთლიანი კლასისთვის გაცნობა და მათთვის იმის დასაბუთება, რომ პრობლემის გადაჭრის გზა ნამდვილად კარგია. ამ ფაზაში დისკუსია მიმდინარეობს მთლიან კლასში.	მოსწავლეებს უვითარდებათ არგუმენტირების უნარი.
შედარება	ჯგუფების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედარება რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან. ასევე რეკომენდაციის შემუშავება.	მოსწავლეებს უვითარდებათ რეფლექსიის უნარი.

გთავაზობთ ამ მეთოდის გამოყენებას ბიოლოგიის გაკვეთილზე:

ნებისმიერ ასაკში ადამიანს დაავადების დიაგნოსტიკისთვის სჭირდება სისხლის ანალიზის ჩატარება. მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ ექიმები არიან და სისხლის ანალიზის საფუძველზე უნდა დაადგინონ დაავადება; დაასაბუთონ, რატომ თვლიან ასე და როგორ მივიღოთ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. რესურსი ([პრეზენტაცია](#)) მოიცავს ექვს სიტუაციას. მე ერთ ჯგუფს ერთი ნიმუში მივეცი განსახილველად. რესურსი ადაპტირებულია ინგლისურენოვანი Case study წყაროს მიხედვით. შესაძლებელია პერსონალური მონაცემების დაცვით გამოვიყენოთ ანალიზების სხვა ნიმუშები.

შემთხვევა გამოვიყენე მერვე კლასში, როცა მოსწავლეები სისხლის აგებულებასა და მისი ცალკეული უჯრედების ფუნქციებს სწავლობენ. უფრო მოსახერხებელი იქნება გამოიყენოთ მეთორმეტე კლასში, რადგან აქ უფრო ღრმად არის საკითხი განხილული და მოსწავლეების წინარე ცოდნაც უფრო მეტად შეესაბამება შემთხვევებს.

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ადამიანის ბიოლოგიის ცოდნით შეიარაღების მნიშვნელობაზე – რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ ბავშვებს საკუთარი ორგანიზმის შესახებ, მით უფრო ადვილად და ადრეულ პერიოდში დაფიქრდებიან ჯანმრთელობის პრობლემებზე.

ასევე უნდა წახალისდეს ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ეტაპი, რადგან ჯგუფები უფრო მარტივად მივლენ სწორ დასკვნამდე და არგუმენტის მოტანაც გაუადვილდებათ.

მერვე კლასში გამოყენებისას ჯერ წარვადგინე პრობლემა, შემდეგ დავამუშავე პარაგრაფები. მეთორმეტე კლასში უკვე არის საშუალება მოსწავლეებმა დამოუკიდებლად დაამუშაონ შემთხვევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. [გზამკვლევი](#) პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.